თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №10

თბილისი,

28 ოქტომბერი, 2020

სხდომა დაიწყო 11:06 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

- კომისიის თავმჯდომარე – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე გოჩა ლორთქიფანიძე;
- კომისიის თავმჯდომარის მოადგილე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსი ბექა ძამაშვილი;
- საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე გიორგი გაბიტაშვილი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო ცაციაშვილი;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ცოტნე ყავლაშვილი;
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე რატი ბრეგაძე;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე გიორგი წოწკოლაური;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ როსებაშვილი;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იურიდიული მთავარი სამმართველოს უფროსი ბექა ზეგარდელი;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ბესიკ ქოჩიაშვილი;

- კომისიის მდივანი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) მოვალეობის შემსრულებელი სოფიო ტეფნაძე;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი ლევან ჯღარკავა;

კომისიის სამდივნოს წევრები:

- თორნიკე არჯევანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- თამარ ლომიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოს კოორდინატორი;
- ნათია თევზაძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი.

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

- ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი გიორგი კალანდარიშვილი;

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

- „ზვიადის გზა“ (ღმერთის, სიმართლისა და ქვეყნისათვის) – მიხეილ (გელა) სალუაშვილი;
- „ევროატლანტიკური ვექტორი“ – ლაშა ბრეგვაძე;
- „ლელო საქართველოსთვის“ – მერი ჯაფარიძე;
- „სოციალური სამართლიანობისათვის“ – მამუკა ტუსკაძე;
- „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“ – შავლეგ ჭყოიძე.

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი“ (IFES) – დავით ღონღაძე;
- ევროკავშირის წარმომადგენლობა – თეა ფუტკარაძე;
- OSCE/ODIHR – ანა კაკალაშვილი.

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“ – დანიელ დავითაშვილი;

– „საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი“ – დავით ლილუაშვილი;
– „მრავალეროვანი საქართველო“ – დარეჯან გიორგელიძე;
– „სოციალურ-პოლიტიკური განვითარების ცენტრი“ – ლუკა ხრიკული;
– „სამოქალაქო ჩართულობის და დემოკრატიის განვითარების ცენტრი“ – ქეთი სალაძე;
– „ინსტიტუციური განვითარებისა და მონიტორინგის ცენტრი“ – ირაკლი ჭანტურიძე;
– „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე;
– „საქართველოს მედია კლუბი“ – ირაკლი მელაშვილი;
– „სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი“ – ვლადიმერ ბოჟაძე;
– „დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი“ (ICDI) – ანა აბულაძე;
– „სამართლიანობის განვითარების ინსტიტუტი“ – არჩილ სოფრომაძე;
– „პლატფორმა სამოქალაქო ინიციატივა“ – მაკა ბენაშვილი;
– „დემოკრატიული არჩევანი“ – ქეთევან გვიშიანი;
– „მწვანე დედამიწა“ – ნუგზარ მელაძე.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა გოჩა ლორთქიფანიძემ, სხდომა გახსნა 11:06 საათზე და შეამოწმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა. სხდომის მიმდინარეობისას მან დაადგინა, რომ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის №560 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, რადგანაც სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

ბატონმა გოჩამ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის მეორე შუალედური ანგარიშის განხილვა;
2. საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის ფაქტებთან მიმართებით მედიით გავრცელებული ინფორმაციის განხილვა;
3. პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მხრიდან ინფორმაციის მოსმენა;
4. სხვადასხვა.

სხდომის დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ უწყებათაშორისი კომისიის მეორე შუალედურ ანგარიშზე სასაუბროდ კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა გოჩა ლორთქიფანიძემ, სიტყვა გადასცა კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს, ბატონ ბექა ძამაშვილს (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსი). ბატონმა ბექამ სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას გააცნო უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის დაწყებიდან დღემდე არსებული მდგომარეობა. მან აღნიშნა, რომ მთლიანობაში კომისიამ საკუთარი მანდატის ფარგლებში განიხილა 48 საქმე (შესაძლო ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება/საჯარო მოსამსახურეთა შესაძლო დარღვევა), რომელთაგან 17 საქმე შეეხებოდა ადმინისტრაციული რესურსის შესაძლო გამოყენებას, 5 საქმე – საჯარო მოხელეთა მხრიდან შესაძლო მოსყიდვას, 10 შემთხვევა – საჯარო მოხელეთა მხრიდან შესაძლო იძულებას, ხოლო დანარჩენი 16 შემთხვევა – საარჩევნო კანონმდებლობის სხვაგვარი შესაძლო დარღვევის ფაქტებს. კომისიის თავმჯდომარის მოადგილის თქმით, საერთო ჯამში, 41 შემთხვევაში არ დადგინდა დარღვევა, 5 შემთხვევაზე კვლავ გრძელდება შესწავლა, ხოლო 2 შემთხვევაში დადგინდა დარღვევა, რომელთაგან ერთზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დადგა, მეორე შემთხვევაში კი, ადმინისტრაციული სახდელი დაეკისრა სამართალდამრღვევს. ბატონმა ბექამ სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას, ასევე, მიაწოდა ინფორმაცია კომისიის მიერ გამოცემული რეკომენდაციების თაობაზე, რომლებიც მიმართული იყო საჯარო მოსამსახურეებისადმი, ადგილობრივი ორგანოებისა და პოლიტიკური პარტიებისადმი. კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ გაახმიანა ინფორმაციაც უწყებათაშორისი კომისიის მონაწილეობით გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების შესახებ. პირველი მემორანდუმი გაფორმდა ცესკო-ს, საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისსა და საჯარო სამსახურის ბიუროს შორის და შეეხებოდა საჯარო მოხელეთა გადამზადებას საარჩევნო კანონმდებლობის კუთხით. ზემოაღნიშნული მემორანდუმიდან გამომდინარე, გადამზადდა 1556 საჯარო მოხელე; რაც შეეხება მეორე მემორანდუმს, იგი გაფორმდა უწყებათაშორის კომისიას, ცესკო-სა და სადამკვირვებლო ორგანიზაციებს შორის და შეეხებოდა საარჩევნო კოდექსის ცალკეული ნორმის ერთგვაროვან აღქმაზე შეთანხმებას, რაც გულისხმობდა იმას, რომ არჩევნებთან დაკავშირებულ პროცესში სადამკვირვებლო ორგანიზაციები და ცესკო ერთნაირად მოახდენდნენ ზემოაღნიშნული ნორმების ინტერპრეტაციას.

დასასრულ, ბატონმა ბექამ იმედი გამოთქვა, რომ უწყებათაშორისი კომისია, მის მიერ განხორციელებული საქმიანობიდან გამომდინარე, მაქსიმალურად შეუწყობდა ხელს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევების პრევენციას.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციასთან დაკავშირებით ისაუბრა ბატონმა მიხეილ (გელა) სალუაშვილმა („ზვიადის გზა“ (ღმერთის, ქვეყნისა და სიმართლისათვის)) და მიესალმა იმ ძალისხმევას, რაც იქნა გაწეული საარჩევნო პროცესის ხელშეწყობის მიზნით.

მედიამონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ინფორმაციის განხილვის დაწყებამდე ბატონმა გოჩამ განაცხადა, რომ კომისიის მიერ კვლავ ინდივიდუალურად მოხდა „ევროპულ საქართველოსა“ და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ კომუნიკაცია, რომელთაც მიეწოდათ ინფორმაცია მათთან დაკავშირებული საკითხების განხილვის თაობაზე. რამდენადაც ზემოაღნიშნული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ისევ არ ესწრებოდნენ სხდომას, კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კომისიის საქმიანობაში მათი ჩაურთველობა არანაირად არ უწყობს ხელს კომისიის კიდევ უფრო ეფექტურ მუშაობას.

შემდეგ, იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა „ევროპული საქართველოს“ წევრ ბესიკ დონაძის მიერ გაკეთებულ განცხადებას „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ირაკლი ჩიქოვანის მიერ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების თაობაზე, ბატონმა გოჩამ სიტყვა გადასცა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელს, ბატონ ნიკოლოზ როსებაშვილს. ბატონმა ნიკოლოზმა სხდომაზე წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომლის თანახმად, განცხადებაში მითითებული პროექტები არის სოფლის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები. ამ პროგრამის ფარგლებში, დადგენილია 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების გახარჯვის პროცედურები, რაც გულისხმობს თითოეულ სოფელში და, მათ შორის, განცხადებაში მოყვანილ ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობის მიერ პროექტების შერჩევას. ბატონი ნიკოლოზის თქმით, მსგავსი პროექტები არა მარტო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში, არამედ ყველა მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციული ერთეულის სოფელში მიმდინარეობს. შესაბამისად, მთელი წლის განმავლობაში, დაახლოებით, 2020 წლის 1-ლ მარტამდე, მთავრობის მიერ დამტკიცებული წესის მიხედვით, ტარდებოდა მოსახლეობის საერთო კრებები და პროექტების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად უკვე წლის შუა პერიოდიდან დაიწყო სატენდერო პროცედურები და შესაბამისი სამუშაოები. როგორც უწყების წარმომადგენელმა აღნიშნა, მსგავსი ტიპის სამუშაოები არა მხოლოდ წელს, არამედ შარშან და შარშანწინაც მიმდინარეობდა ზემოაღნიშნული პროცედურებით, ამიტომ საარჩევნო პროცესთან განცხადებაში წარმოდგენილ ფაქტებს კავშირი არ აქვს.

„ევროპული საქართველოს“ განცხადებაზე ისაუბრა ბატონმა გიორგი კალანდარიშვილმაც (ცესკო-ს წარმომადგენელი). ბატონი გიორგის თქმით, არ იკვეთება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების გარემოებები, თუმცა, რადგანაც ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიაში შესულია ზემოაღნიშნული პარტიის განცხადება, მიმდინარეობს საკითხის შესწავლა და ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

მომდევნო საკითხზე (ბოლნისში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ კახა ოქრიაშვილის მხარდამჭერზე თავდასხმა) სასაუბროდ ბატონმა გოჩამ სიტყვა გადასცა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს. როგორც ქალბატონმა ნინო ცაციაშვილმა განაცხადა, 2020 წლის 19 ოქტომბერს შსს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ბოლნისის რაიონულ სამმართველოში გამოძიება დაიწყო რამაზ ნურმამედოვის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ 126-ე მუხლის პირველი ნაწილით. გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო რამაზ ნურმამედოვის შეტყობინება. ამ დრომდე ჩატარებული გამოძიებით დგინდება, რომ 2020 წლის 19 ოქტომბერს სოფელ ჯავშანიანში კახა ოქრიაშვილის (პარტია „პროგრესი და თავისუფლება“) სახალხო შეხვედრაზე იმყოფებოდა ამავე სოფლის საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი რამაზ ნურმამედოვი, რომელმაც ადგილზე შენიშნა იქ მყოფი მ.შ.. შეხვედრის დროს მ. შ.-მ უცენზურო სიტყვებით მოიხსენია კახა ოქრიაშვილი, რაც გაიგო კახა ოქრიაშვილმაც და მ.შ.-ს განუმარტა, რომ არჩევნების დასრულების შემდგომ ამ სიტყვებზე აგებდა პასუხს. კახა ოქრიაშვილსა და მ.შ.-ს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მალევე ამოიწურა და მ.შ.-მ დატოვა შეკრების ადგილი.

ამავე დღეს, დაახლოებით, 15:00 საათზე, რამაზ ნურმამედოვს მობილურ ტელეფონზე დაუკავშირდა მ.შ. და სთხოვა შეხვედრა კონკრეტულ ფაქტთან სალაპარაკოდ. სოფელ ქვეშში მდებარე ბენზინგასამართ სადგურზე შეხვედრისას მ.შ.-მ რამაზ ნურმამედოვს გაბრაზებულმა მიმართა („შენ ჩამიშვი კახა ოქრიაშვილთან და რა კაცი ყოფილხარ“...) და აუქნია ხელი, მაგრამ რამაზ ნურმამედოვს არ მოხვედრია.

საქმეზე გამოიკითხნენ მოწმეები, რამაზს ნურმამედოვს დაენიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. როგორც ნურმამედოვი გამოკითხვაში აღნიშნავს, მას არანაირი ფიზიკური დაზიანება არ მიუღია, უარს აცხადებს სამედიცინო ექსპერტიზაზე და მ.შ.-ს მიერ მოქნეული ხელი ასცდა. საქმეზე გრძელდება გამოძიება.

შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეთ გააცნო „ტვ ფორმულას“ მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომლის თანახმად, 23 ოქტომბერს, გვიან ღამით, ხონის სამუსიკო სკოლაში სკოლის პედაგოგები და დირექტორები განათლების მინისტრს შეხვდნენ. შეხვედრას

ესწრებოდნენ, ასევე, ხონის საკრებულოს თავმჯდომარე, გამგებელი და ხონში, ვანსა და წყალტუბოში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გივი ჭიჭინაძე. მაუწყებლის ინფორმაციით, მასწავლებლები აიძულეს, მისულიყვნენ შეხვედრაზე. თუმცა, შეხვედრის დასრულების შემდეგ პედაგოგებმა ინფორმაცია უარყვეს და თქვეს, რომ შეხვედრაზე საუბარი განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებს შეეხებოდა. ხონის სამუსიკო სკოლასთან იმყოფებოდნენ პარტია „ლელოს“ წარმომადგენლებიც, რომლებიც გვიან ღამით ხონის სამუსიკო სკოლაში დახურულ ფორმატში შეხვედრას აპროტესტებდნენ. ბატონმა გოჩამ ხსენებულ შემთხვევასთან დაკავშირებით სიტყვა გადასცა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილეს, ქალბატონ თამარ ქიტიაშვილს.

როგორც ქალბატონმა თამარმა განაცხადა, აღნიშნული ფაქტი მოკვლეულ იქნა მათი უწყების მიერ, ამასთან, მოკვლევის პერიოდში მიმართეს რესურსცენტრსა და რესურსცენტრის საკოორდინაციო არეალში არსებულ სკოლებს. ხონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ სამინისტროსთვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, 23 ოქტომბერს, საღამოს, სამუშაო საათების შემდეგ ნამდვილად გაიმართა ხონის საჯარო სკოლის პედაგოგების შეხვედრა მინისტრთან. შეხვედრა ჩატარდა შესაბამისის რეკომენდაციების დაცვით, ქვეყანაში არსებული პანდემიიდან გამომდინარე. ამასთან, ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, რომ პედაგოგები მოვიდნენ საკუთარი სურვილით და არ დასტურდება არავითარი ძალდატანების ფაქტი. ამის შესახებ მათ მედიასთანაც აღნიშნეს. მინისტრი იმერეთში იმყოფებოდა სამუშაო ვიზიტით ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და იმერეთში ახლად აშენებული სკოლების გახსნასთან დაკავშირებით. მინისტრის მოადგილის განცხადებით, ბატონი ჩხენკელი არის ხონის საპატიო მოქალაქე და საკმაოდ ხშირად აქვს ვიზიტი ხონში განათლების მუშაკებთან. მინისტრმა შეხვედრაზე ისაუბრა ქვეყანაში არსებულ პანდემიაზე, დისტანციური სწავლების, პედაგოგების სტატუსის ამაღლებასა და ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით, შემდეგ კი, შეხვედრა გაგრძელდა დირექტორებს, პედაგოგებსა და მინისტრს შორის კითხვა-პასუხის რეჟიმში. ქალბატონმა თამარმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოკვლევის შედეგად არ დასტურდება შეხვედრაზე პედაგოგების იძულებით დასწრების ფაქტი.

ბატონმა ირაკლი მელაშვილმა („საქართველოს მედია კლუბი“) ხონის შეხვედრასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ეს შეხვედრა შეიცავს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ნიშნებს. მისი თქმით, წინასაარჩევნო პერიოდში დეპუტატობის კანდიდატებს აკრძალული აქვთ სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებულ შეხვედრებში მონაწილეობა.

ბატონმა გიორგი კალანდარიშვილმა (ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი) ზემოთქმულთან დაკავშირებით განაცხადა, რომ, საარჩევნო

კანონმდებლობით, ასეთი ტიპის ღონისძიებებზე (ადგილობრივი ან სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით) შესაბამისი მოწოდებები ან აგიტაცია რომელიმე პოლიტიკური პარტიის მიმართ წარმოადგენს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას. მისივე თქმით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში მედიით გავრცელებულ ინფორმაციაში არ არის ნახსენები შეხვედრაზე პოლიტიკური მოწოდებების შესახებ ან რომ ეს შეხვედრა იყო სააგიტაციო შინაარსის. მან შეხვედრაზე მოქმედი მაჟორიტარი დეპუტატის დასწრების ფაქტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გივი ჭიჭინაძის მიერ რაიმე სახის მოწოდების ან პოლიტიკური შინაარსის ქმედების შემთხვევაში შეიძლებოდა, ფაქტი მსჯელობის საგანი გამხდარიყო და მისცემოდა და ადმინისტრაციული რესურსის შესაძლო გამოყენების კვალიფიკაცია. ბატონმა გიორგიმ დამატებით განაცხადა, რომ ცესკო-ში ამ შემთხვევასთან დაკავშირებით საჩივრით არავის მიუმართავს.

ქალბატონმა თამარ ქიტიაშვილმა დამატებითი ინფორმაციის სახით აღნიშნა, რომ ბატონი გივი ჭიჭინაძე მხოლოდ ესწრებოდა შეხვედრას, მას არ მიუმართავს პედაგოგებისთვის და დიალოგი გაიმართა მხოლოდ მინისტრსა და პედაგოგებს შორის.

კომისიის თავმჯდომარემ ცესკო-ს წარმომადგენელს დაავალა ზემოდასახელებული ფაქტის შესწავლა და შესაბამისი ზომების მიღება, საჭიროებიდან გამომდინარე.

შემდგომ ბატონმა გოჩამ მედიამონიტორინგის შედეგად მიღებული მომდევნო ინფორმაციის განხილვის მიზნით („არჩევნების გაყალბების კიდევ ერთი სქემა „ქართული ოცნებისგან" – ამჯერად მმართველი პარტია ხმების მობილიზებას ბაღების დირექტორებს ავალებს": მთავარი არხისთვის კონფიდენციალური წყაროს მიერ მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, თბილისის 95-ე ბაღის დირექტორი თანამშრომლებს ეუბნება, რომ არჩევნებზე არ მივიდნენ და არწმუნებს, რომ მათი ხმები მაინც არ დაიკარგება) სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსს, ბატონ ლევან ჯღარკავას.

ბატონმა ლევანმა განაცხადა, რომ ბაღების სააგენტოს შესაბამის სამსახურს დაევალა აღნიშნული საკითხის მოკვლევა. მისი თქმით, მითითებული ბაღის დირექტორის გამოკითხვის შედეგად არ დასტურდება მედიაში გავრცელებული ზემოხსენებული ინფორმაცია, ამასთან, მიმდინარეობს ფაქტის შესწავლა და ბაღის მასწავლებლების გამოკითხვა.

კომისიის თავმჯდომარემ განიხილა წინა სხდომებზე გახმიანებული საკითხები, რომელთა მოკვლევა ამ ეტაპზეც მიმდინარეობს. ამ თვალსაზრისით მან მიმართა ცესკო-ს წარმომადგენელს 11 ოქტომბერს გავრცელებულ ინფორმაციასა (ანა ნაცვლიშვილის განცხადება ქუთაისში „ქართული ოცნების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის მიერ კანონის უხეშად დარღვევასა და

რეაგირების მოთხოვნასთან მიმართებით) და „რუსთავი 2“-ის მიერ გავრცელებულ მასალებთან („ევროპული საქართველოს“ მიერ რეაგირების მოთხოვნა ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიისგან „ქართული ოცნების“ მხრიდან ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე და „ბათუმელების“ მიერ გავრცელებული ინფორმაცია „ქართული ოცნების“ სააგიტაციო შეხვედრაზე ხელვაჩაურის მერის სამსახურებრივი მანქანით გამოჩენა) დაკავშირებით.

ბატონი გიორგი კალანდარიშვილის განცხადებით, არცერთ ზემოხსენებულ საკითხზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი არ გამოვლენილა.

კომისიის თავმჯდომარემ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს მიმართა დამატებითი ინფორმაციის მოწოდების თაობაზე („პირველ არხზე“ გასული ინფორმაცია „ევროპული საქართველოს“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელ სერგი კაპანაძის ეროვნული ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომელ ნინო გედენიძესთან ერთად გამართულ ბრიფინგზე გაკეთებული განცხადება იმ ასობით შემთხვევაზე, როდესაც „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ხალხს სამსახურის დაკარგვით ან სოციალური დახმარების მოხსნით ემუქრებიან).

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის განცხადებით, ნინო გედენიძის გასაუბრებაზე არაერთგზის დაბარების შემდგომ საბოლოოდ მოხერხდა მასთან გასაუბრება, რომლის თანახმად, მიმდინარე წლის 11 ოქტომბერს მასთან სახლში მისულმა მისთვის უცნობმა ქალბატონმა კითხვები დაუსვა, თუ რომელ პოლიტიკურ პარტიას აძლევდა არჩევნებში ხმას, რაზეც ნინო გედენიძემ თავი შეიკავა და პასუხი არ გასცა. როგორც ნინო გედენიძემ გასაუბრებისას აღნიშნა, უცხო ქალბატონმა უთხრა, რომ „სამსახურს მხოლოდ სიზმარში ნახავდა“. გედენიძის განმარტებით, არ შეუძლია ამ ქალბატონის ამოცნობა და არც ის იცის, რომელ პოლიტიკურ პარტიას წარმოადგენდა. ქალბატონი ნინო ცაციშვილის განცხადებით, ეს ფაქტი არ შეიცავდა მუქარის ან სხვა დანაშაულის ნიშნებს. შესაბამისად, ამ კუთხით გამოძიება არ დაწყებულა.

გიორგი წოწკოლაურმა (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე) ზემოგანხილულ საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ ქვეყანაში არსებული პანდემიის გამო მათი უწყების მიერ გამოცხადებულია მორატორიუმი და არ ხდება სოციალურად დაუცველი ოჯახების გადამოწმება გარდა იმ შემთხვევისა, თუ უშუალოდ მოქალაქე არ მოითხოვს თავიდან ან პირველად გადამოწმებას. ამასთან, ბატონმა გიორგიმ განაცხადა, რომ ვერ გადამოწმდებოდა ნინო გედენიძე მისი სურვილის გარეშე. ამასთან, სოციალურად დაუცველის ოჯახის გადამოწმებისას სოციალური

აგენტის მიერ დგება გადამოწმების აქტი, რომელზეც ხელი უნდა მოაწეროს ოჯახის წევრმა. აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს.

თითოეულ საკითხზე უწყების პოზიციის მოსმენის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს შესაძლებლობას აძლევდა, დაესვათ კითხვები ან წარმოედგინათ დამატებითი ინფორმაცია.

ზემოაღნიშნული საკითხების განხილვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა უწყებათაშორისი კომისიის ძირითად ამოცანებზე. როგორც მან განაცხადა, მნიშვნელოვანია, კომისიის მხრიდან გატარდეს პრევენციული ღონისიძებები, რაც შეამცირებს წინასაარჩევნო პერიოდში საჯარო მოხელეების მხრიდან დარღვევის შემთხვევებს. ამასთან, ბატონმა გოჩამ განიხილა საგანმანათლებლო რესურსცენტრების, საჯარო სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების თანამშრომლებისათვის შემუშავებული რეკომენდაცია, რომელიც აზრთა შეჯერების შემდგომ მიღებულ იქნა კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით.

დღის წესრიგის მეორე საკითხით გათვალისწინებულ ინფორმაციაზე სასაუბროდ ბატონმა გოჩა ლორთქიფანიძემ სიტყვა გადასცა ბატონ მამუკა ტუსკაძეს („სოციალური სამართლიანობისათვის“).

ბატონი მამუკას მიერ მოწოდებული ინფორმაცია ეხებოდა კრწანისის ოლქში მომხდარ ინციდენტს მათი ორგანიზაციის წევრისთვის მიყენებული ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტზე და მოუწოდა სამართალდამცავ ორგანოებს რეაგირებისკენ. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის საპასუხო განცხადებით, თუ აღნიშნული ფაქტი შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, ბუნებრივია, მათი უწყების მხრიდან მოჰყვება შესაბამისი რეაგირება.

ბატონმა შავლეგ ჭყოიძემ („საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“) განაცხადა, რომ გლდანში მათი პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ზვიად ტომარეძეს 24 ოქტომბერს, 5-ის ნახევარზე, თავს დაესხნენ უცნობი პირები და მას და მისი ოჯახის წევრებს მიაყენეს ფიზიკური და ფსიქოლოგიური შეურაცხყოფა. მიუხედავად იმისა, რომ დაწყებულია გამოძიება, ბატონმა შავლეგმა მოუწოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს დრული რეაგირებისკენ.

როგორც ქალაბტონმა ნინო ცაციაშვილმა აღნიშნა, ნებისმიერ ფაქტზე, რომელიც შეიცავს ძლადობის ნიშნებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან მყისიერად იწყება გამოძიება. ამ ფაქტზეც მიმდინარე გამოძიების ფარგლებში მაქსიმალურად ცდილობენ თავდამსხმელ პირთა იდენტიფიცირებას.

ბატონმა ლაშა ბრეგვაძემ („ევროატლანტიკური ვექტორი“) გენერალური პროკურორის მოადგილეს, ბატონ გიორგი გაბიტაშვილს, მიმართა წინა სხდომაზე წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებით შპს „ბროლისთვის“ საგამოძიებო მოქმედების დროს ამოღებული ნივთების დაბრუნების თხოვნით.

როგორც ბატონმა გიორგი გაბიტაშვილმა წინა სხდომაზეც და ახლაც განაცხადა, გამოძიების ფარგლებში საჭირო საგამოძიებო მოქმედებების დასრულებისთანავე მათ დაუბრუნდებათ გამოძიებისთვის არასაჭირო ყველა ნივთი.

ბატონმა დანიელ დავითაშვილმა („პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“) ცესკო-ს წარმომადგენელს მიმართა კითხვით – ჰქონდა თუ არა ინფორმაცია 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ცესკო-ში დარეგისტრირებული (თითოეული) არასამთავრობო ორგანიზაციების დამკვირვებლების რაოდენობის შესახებ. ბატონი გიორგი კალანდარიშვილის საპასუხო განცხადების თანახმად, მისთვის ცნობილია დამკვირვებლების საერთო რაოდენობა, მაგრამ არ ფლობს ინფორმაციას თითოეული არასამთავრობო ორგანიზაციის დამკვირვებელთა რაოდენობის შესახებ. მან სხდომის მონაწილეთა საყურადღებოდ აღნიშნა, რომ, 27 ოქტომბრის საღამოს მდგომარეობით, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს დააკვირდება ცესკო-ში დარეგისტრირებული 50 საარჩევნო სუბიექტის 62480 წარმომადგენელი. არჩევნებზე, ასევე, რეგისტრირებულია 134 ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის 46940 წარმომადგენელი, 138 მედიაორგანიზაციის მიერ აკრედიტებული 5940 პირი და 48 საერთაშორისო ორგანიზაციის 704 დამკვირვებელი. მისი თქმით, მნიშვნელოვანია, რომ ყველა მიუკერძოებელმა დამკვირვებელმა მაქსიმალურად ყურადღებით ადევნოს თვალი არჩევნების დღეს მიმდინარე პროცესებს, შემდგომ კი, შეაფასონ და ასახონ თავიანთ ანგარიშებში.

ბატონმა ირაკლი მელაშვილმა თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა წინასაარჩევნო პერიოდში საჯარო მოხელეების მხრიდან სამუშაო საათებში სოციალური ქსელების გამოყენებაზე. როგორც მან აღნიშნა, მისი ორგანიზაციის ანგარიშში ასახულია წინასაარჩევნო პერიოდში საჯარო მოხელეების მხრიდან საარჩევნო კანონმდებლობის დაღვევის ფაქტები (ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება). მან მიმართა კომისიის თავმჯდომარეს და გამოთქვა მზაობა ამ ანგარიშის უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოსთვის მიწოდების თაობაზე. კომისიის თავმჯდომარე მიესალმა შეთავაზებას და აღნიშნა, რომ უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოში მოწოდებულ ინფორმაციას განიხილავენ.

ბატონმა გრიგოლ გაგნიძემ („ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“) კითხვით მიმართა ცესკო-ს წარმომადგენელს – ფლობდა თუ არა ბატონი გიორგი ინფორმაციას არჩევნების დღეს საარჩევნო უბნებზე სათვალთვალო კამერების დამონტაჟებასთან დაკავშირებით. ბატონი

გიორგი კალანდარიშვილის საპასუხო განცხადების თანახმად, კამერები საარჩევნო უბნებზე არჩევნების დღეს არ იქნება დამონტაჟებული, რადგან კანონმდებლობა ამას არ ითვალისწინებს.

ბატონმა დავით ლილუაშვილმა („საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი") სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ, მისი ინფორმაციით, არჩევნების დღეს ზოგიერთი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი (ოპოზიციური პარტიებიდან) არჩევნების დასრულების შემდეგ არ აპირებს შემაჯამებელ ოქმებზე ხელმოწერას, რამაც შესაძლოა, გარკვეული დაძაბულობა გამოიწვიოს. მისი აზრით, აუცილებელია, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღოს პრევენციული ზომები მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.

ქალბატონი მერი ჯაფარიძე („ლელო საქართველოსთვის") შეეხო მის მიერ წინა სხდომაზე წამოჭრილ საკითხს თბილისის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ ერთი კვირის განმავლობაში მათი პარტიის სამჯერ 1000 ლარით დაჯარიმებასთან დაკავშირებით სააგიტაციო მასალის დარიგებისას მსუბუქი კონსტრუქციის განთავსებისთვის. მისი თქმით, ეს ჯარიმები მათ გაასაჩივრეს ქ. თბილისის მერიის იურიდიულ სამსახურში.

ბატონმა ლევან ჯღარკავამ (თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი) ქალბატონი მერის საპასუხოდ განაცხადა, რომ პარტია „ლელოს" წარმომადგენლები მართლაც დაჯარიმდნენ მსუბუქი კონსტრუქციის განთავსებისთვის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის" 150^3-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე. მისი თქმით, რაიმე ტიპის ნებისმიერი, თუნდაც, მსუბუქი კონსტრუქციის განთავსება სახელმწიფო მიწაზე ითვლება ნაგებობად და მოითხოვს ნებართვას სპეციალური სამსახურის მხრიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქმედება კანონით დასჯადია და, შესაბამისად, ითვალისწინებს სანქციებს.

ბატონი ბექა ძამაშვილი (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსი) დაინტერესდა, მუნიციპალური ინსპექციის მხრიდან დაჯარიმებული პოლიტიკური პარტიები ამ ჯარიმებს თუ ასაჩივრებენ სასამართლოში. როგორც ბატონმა ლევან ჯღარკავამ აღნიშნა, ჯარიმები საჩივრდება მერიის იურიდიულ სამსახურში და ხშირ შემთხვევაში იურიდიული სამსახური ძალაში ტოვებს გადაწყვეტილებას. ამასთან, ზოგიერთი გასაჩივრებულია სასამართლოში, მაგრამ, მისი ინფორმაციით, აღნიშნულ საკითხზე ჯერ არ შემდგარა სასამართლო განხილვა.

კომისიის თავმჯდომარემ ბატონ ლევან ჯღარკავას კითხვით მიმართა – შესაძლებელია თუ არა, ჯარიმის გამოწერამდე კონკრეტულ პარტიას მიეცეს გაფრთხილება, ხოლო დაჯარიმება უკიდურეს შემთხვევაში მოხდეს. ბატონი ლევანის პასუხის თანახმად, საჯარიმო სანქციის გამოწერამდე მათი

სამსახურის წარმომადგენლების მიერ ხდება გაფრთხილება, მაგრამ გარკვეული პარტიების წარმომადგენლები ამ გაფრთხილებას, სამწუხაროდ, არ ემორჩილებიან.

სხდომის დასასრულ, კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს მობრძანებისთვის.

კომისიის მომდევნო თარიღად გამოცხადდა 2020 წლის 6 ნოემბერი, 11:00 საათი.

სხდომაზე გამართული დისკუსიის შედეგად კომისიამ შეიმუშავა რეკომენდაცია:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის
რეკომენდაცია
(2020 წლის 28 ოქტომბერი)

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია,

აკისრია რა პასუხისმგებლობა, ხელი შეუწყოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების გამჭვირვალე და სამართლიან გარემოში ჩატარებას,

მნიშვნელოვან სამართლებრივ მექანიზმად თვლის 2013 წლის საპრეზიდენტო, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის, 2016 წლის საპარლამენტო, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის და 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში მის მიერ გამოცემულ რეკომენდაციებს და

რეკომენდაციით მიმართავს

საგანმანათლებლო რესურსცენტრების, საჯარო სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების თანამშრომლებს:

ა) თავი შეიკავონ წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობისგან, მათ შორის, სოციალური ქსელების გამოყენებით, სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ ფუნქციებს;

ბ) საკუთარი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას მაქსიმალურად გაემიჯნონ საარჩევნო პოლიტიკურ პროცესებს, ისე, თუნდაც, აღქმა არ დარჩეს, რომ რომელიმე პოლიტიკური პარტიის/საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ მოქმედებენ;

გ) მაქსიმალურად შეიკავონ თავი ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის/საარჩევნო სუბიექტის წინააღმდეგ მიმართულ შეხვედრებში მონაწილეობისა და ძალადობისგან, რათა გამოირიცხოს პოლიტიკურ ნიადაგზე, თუნდაც, სიტყვიერი დაპირისპირება, და კანდიდატებმა შეფერხების გარეშე შეძლონ ამომრჩეველთან კონტაქტი.

სხდომაზე წამოჭრილ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით თავიანთი პოზიციები დააფიქსირეს, ასევე, სიტყვით გამოვიდნენ შემდეგი პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები:

– „ზვიადის გზა“ (ღმერთის, სიმართლისა და ქვეყნისათვის) – მიხეილ (გელა) სალუაშვილი ;

– „მწვანე დედამიწა“ – ნუგზარ მელაძე.

სხდომა დასრულდა 13:03 საათზე.

კომისიის თავმჯდომარე: გ. ციხელაშვილი

კომისიის მდივანი: ს. ყველაშვილი